ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3230164

ნომერი: AR1495151

თარიღი : 12.04.2017

გაცემის თარიღი : 27.04.2017

გაცნობის თარიღი : 28.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ., (ნაკვეთი N18/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა გიგაშვილი პ/ნ 01017055357
- თბილისი რუსთავის გზატ. N 28ა ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აპრილის №2564216 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 12 აპრილის № AR1495151 განცხადებით მომართა მოქ. ნიკა გიგაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 25 აპრილის №2564216 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აპრილის №2564216 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ., (ნაკვეთი N18/73), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.11.12.018.073, მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 25 აპრილიდან 2018 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მითითებულია 14993.4 კვ.მ. ნაცვლად 15021.6 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად მითითებულია 2662.3 კვ.მ. ნაცვლად 2738.48 კვ.მ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მითითებულია 738.5 კვ.მ. ნაცვლად 429.6 კვ.მ-სა, კომერციულ ფართობად მითითებულია 2405.3 კვ.მ. ნაცვლად 2406.31 კვ.მ-სა, დამხმარე ფართობად მითითებულია 2368.4 კვ.მ. ნაცვლად 2313.18 კვ.მ.-სა, საერთო ფართობად მითითებულია 24412.2 კვ.მ, ნაცვლად 24153.47 კვ.მ-სა.

სამსახურმა 2017 წლის 12 აპრილის № AR1495151 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა 2016 წლის 25 აპრილის №2564216 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2016 წლის 25 აპრილის №2564216 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აპრილის №2564216 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 15021.6 კვ.მ, საზაფხულო ფართობად საზაფხულო ფართობად მიეთითოს 2738.48 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 429.6 კვ.მ, კომერციულ ფართობად მიეთითოს 2406.31 კვ.მ, დამხმარე ფართობად მიეთითოს 2313.18 კვ.მ, საერთო ფართობად მიეთითოს 24153.47 კვ.მ.

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აპრილის №2564216 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აპრილის №2564216 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.